საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ს. კ. /სიითი N/; ადვოკატი გ. ლ. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.02.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 020/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ტ. კ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ტ. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2023 წლის 24 თებერვალს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ადვოკატებმა ს. კ.-მ და გ. ლ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ ტ. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა პოზიციით, 2023 წლის 9 იანვარს მათი კლიენტის - ნ. ქ.-ის მიერ ნაქირავებ ბინაში მივიდნენ გამქირავებელი დ. კ. და მისი წამომადგენელი, ადვოკატი ტ. კ.. ნ. ქ.-ის ინფორმაციით, დ. კ. მიდიოდა ბინის შესამოწმებლად, რასაც ის, როგორც გამქირავებელი, ახორციელებდა ყოველთვიურად. თუმცა, რეალურად დ. კ., ადვოკატთან ერთად შეიჭრა ბინაში და ნ. ქ.-ს მოსთხოვა დაქირავებული ბინის დაცლა. დ. კ. და მისი წარმომადგენელი ნ. ქ.-ს ექცეოდნენ უხეშად. ნ. ქ. აღნიშნულ ბინაში ცხოვრობდა არასრულწოვან შვილთან ერთად, მას

შეეშინდა - რადგან მის ბინაში შეიჭრნენ დ. კ. და ადვოკატი ტ. კ., ამიტომ დარეკა სსიპ 112-ში და ითხოვა დახმარება პოლიციისაგან, იმავედროულად დაურეკა თავის მეგობრებს თ. ლ.-ს და ს. ჩ.-ს.

1.3 ადვოკატების პოზიციით, აღნიშნულის შემდეგ ნ. ქ.-მ დახმარებით თხოვნით დაურეკა მათ და აუხსნა საქმის ვითარება - რომ რომ მას და მის არასრულწოვან შვილს ბინაში შეეჭრნენ დ. კ. და მისთვის უცნობი მამაკაცი. დაახლოებით 1 საათსა და 30 წუთში ადვოკატები ს. კ. და გ. ლ. მივიდნენ ნ. ქ.-ის საცხოვრებელ ბინაში, სადაც ადგილზე დახვდათ დ. კ. და მისი თანმხლები პირი ადვოკატი ტ. კ., ასევე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი (ორი პატრულ-ინსპექტორი), თ. ლ. და ს. ჩ.. საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ თავი წარადგინეს - რომ იყვნენ ნ. ქ.-ის ადვოკატები და მიესალმნენ კოლეგას - ტ. კ.-ს. ამის შემდეგ, ესაუბრებოდნენ საპარტულო პოლიციის თანამშრომლებს, იმასთან დაკავშირებით, რომ დ. კ.-ის მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი იყო თვითნებობა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება იყო და მოეხდინათ სათანადო რეაგირება. ადვოკატის პოზიციიდან გამომდინარე, გაღიზიანდა დ. კ. და დაიწყო ყვირილი, ამავდროულად მათთან მივიდა ადვოკატი ტ. კ., რომელიც მიმართავდა აგრესიულად და შემდეგი სიტყვებით: „ბიჯო“, „აფერისტები“ და „პროვოკატორები“.

1.4 მომჩივანთა პრეტენზიით, ადვოკატ ტ. კ.-ის მიერ დარღვეულია კოლეგიალობის პრინციპი, რის გამოც მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. ადვოკატის განმარტება:

2.1 ადვოკატ ტ. კ.-ს 2023 წლის 1 მარტს ეცნობა საჩივრის შესახებ და საჩივარი გაეგზავნა მის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე; იქიდან გამომდინარე, რომ მხარეები 2023 წლის 02 მარტს მორიგდნენ და წარმოადგინეს განცხადება, სადაც განმარტეს, რომ ერთმანეთის მიმართ პრეტენზია აღარ აქვთ, ადვოკატ ტ. კ.-ს საჩივრიდან გამომდინარე ეთიკის კომისიისათვის თავისი პოზიცია არ წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი:

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ტ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 ადვოკატებმა ს. კ.-მ /სიითი №/, და გ. ლ.-მ /სიითი №/ ეთიკის კომისიას მომართეს 2023 წლის 24 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წლის 9 იანვარს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

4. **შემაჯამებელი დასკვნა**

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ტ. კ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1 2023 წლის 2 მარტს საჩივრის ავტორებმა განცხადებით მომართეს ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითეს, რომ მათ მიერ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით, ადვოკატ ტ. კ.-ის მიმართ არ აქვთ პრეტენზია და სურთ, კომისიამ შეწყვიტოს საქმის წარმოება.

5.2 დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე) ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორებმა უარი თქვეს საჩივარზე, ადვოკატ ტ. კ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N020/23 ადვოკატ ტ. კ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/